ეთიკის კომისიის

ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 04.02.2015

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 003/15

შეკითხვა:

ადვოკატი „ა“ წარმოადგენს კლიენტის ინტერესებს საქმეზე სააპელაციო სასამართლოში საქმისწარმოების ეტაპიდან. კლიენტის ინტერესებს ამ ეტაპამდე წარმოადგენდა სხვა ადვოკატი „ბ“. საქმის მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ ადვოკატი „ბ“ გარკვეულ არაკვალიფიციურ მოქმედებებს ახორციელებდა, რის გამოც კლიენტს მიადგა ზიანი. მიუხედავად ამისა, ადვოკატმა „ა“-მ ურჩია კლიენტს თავი შეეკავებინა ადვოკატ „ბ“-ს მიმართ შესაბამის ორგანოებში დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებისაგან, მათ შორის იმ მიზეზით, რომ არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულებები.

მცირე ხნის შემდეგ, კლიენტის წინააღმდეგ, გარკვეული საფუძვლით, სასამართლოს მიმართა თავად ადვოკატმა „ბ“-მ. კლიენტს სურს, რომ აღნიშნულ დავაში მისი ინტერესები წარმოადგინოს ადვოკატმა „ა“-მ, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის გაფორმებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებით ეს მომსახურება გათვალისწინებული არ არის და ვერც იქნებოდა, რადგან ხელშეკრულება ადვოკატ „ბ“-ს მიერ სარჩელით მიმართვამდე გაფორმდა. თუმცა, არსებობს მინდობილობა, რომელიც ანიჭებს უფლებამოსილებას ადვოკატ „ა“-ს წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები ნებისმიერ ორგანოში და დავაზე. ასევე, კლიენტი მიუთითებს ადვოკატს, რომ მისი რჩევა-არ ეწარმოებინა საქმე ადვოკატ „ბ“-ს წინააღმდეგ, იყო განმაპირობებელი ადვოკატ „ბ“-ს მიერ სასამართლოში სარჩელის შეტანისა. ადვოკატი „ა“ ადასტურებს, რომ მან მხოლოდ რჩევა მისცა კლიენტს გარემოებებიდან გამომდინარე, არ იცნობს ადვოკატ „ბ“-ს და არ ჰქონდა ჩაფიქრებული მის სასარგებლოდ მოქმედება. ადვოკატ „ა“-ს არ სურს მიიღოს მონაწილეობა სამართალწარმოებაში მისი კოლეგის წინააღმდეგ. როგორ შეიძლება მოიქცეს ადვოკატი?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილი: „ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი: „პროფესიის კორპორატიული არსი მოითხოვს ადვოკატთა შორის ნდობასა და თანამშრომლობაზე დამყარებულ ურთიერთობას მათი კლიენტების სასარგებლოდ სასამართლო პროცესების და სხვა კლიენტისთვის საზიანო ქმედებების თავიდან აცილების მიზნით. თუმცა დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება.“

ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იწყება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების ფორმა აღნიშნული მუხლის მიხედვით დადგენილი არ არის. შესაბამისად, იგი შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით. ნებისმიერ შემთხვევაში ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა დაწყებულად ჩაითვლება. ადვოკატ „ა“-სა და კლიენტს შორის გაფორმებულია იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება, რომელშიც არ არის მითითებული ადვოკატ „ბ“-ს სარჩელთან დაკავშირებით კლიენტის ინტერესების დაცვაზე. შესაბამისად, ამ ხელშეკრულებით, ადვოკატს არ აქვს ვალდებულება, განახორციელოს წარმომადგენლობა აღნიშნულ დავაზე. რწმუნებულება ადვოკატს ანიჭებს უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპის თანახმად, პირს შეუძლია დადოს ან არ დადოს ხელშეკრულება. გამონაკლისების გარდა, კანონი არ ითვალისწინებს ხელშეკრულების დადების ვალდებულებას. ხელშეკრულების დადების თავისუფლება გულისხმობს იმასაც, რომ მხარეებს შეუძლიათ უარი თქვან მის შესრულებაზე და შეწყვიტონ იგი.

კლიენტის განცხადება, რომ მას სურს ადვოკატ „ბ“ სარჩელთან დაკავშირებით მისი ინტერესები წარმოადგინოს ადვოკატმა „ა“-მ, შესაძლოა ჩაითვალოს კლიენტის მხრიდან ახალ ოფერტად, რომელსაც, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, ადვოკატ „ა“-ს შეუძლია დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს. რასაკვირველია, ეს გულისხმობს, რომ თავდაპირველი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები უნდა შესრულდეს.

ადვოკატის მიერ კლიენტისათვის გაწეული კონსულტაციის თაობაზე ეთიკის კომისია მიუთითებს ევროპული სასამართლოს 2002 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებაზე, /განაცხადი №C-309/99; J.C.J. Wounters and others vs Algemene Raad van de Nederlande Orde van Advocaten/ რომლის მიხედვით “ადვოკატთა ასოციაციას არ შეუძლია დაადგინოს წესები ადვოკატებისათვის, რომელიც მათ მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი რჩევის ხარისხს შეაფასებს. ადვოკატები საადვოკატო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად აბარებენ გამოცდებს და მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს.“

რაც შეეხება ადვოკატ „ა“-ს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც მას არ სურს კოლეგის წინააღმდეგ მიმართულ საქმისწარმოებაში მიიღოს მონაწილეობა, განიმარტება, რომ აღნიშნული არ უნდა იყოს ადვოკატისათვის კლიენტის ინტერესების დაცვაზე უარის თქმის საფუძველი. ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი მოითხოვს ადვოკატებისაგან ნდობასა და თანამშრომლობაზე დამყარებულ ურთიერთობას, თუმცა, ამ ურთიერთობის ჩარჩოდ აწესებს კლიენტის ინტერესების დაცვას. ეთიკის კომისია არ მიიჩნევს დარღვევად სამართალწარმოებაში

კოლეგის წინააღმდეგ მონაწილეობას იმ შემთხვევაშიც, როდესაც, მაგალითად, მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება ეთიკის კომისიაში და ადვოკატი თავად არის საჩივრის ავტორი. ეს გამომდინარეობს კორპორატიული ინტერესიდან, პროფესიის მაღალი სტანდარტებიდან და ემსახურება პროფესიის ნდობისა და ღირსების შენარჩუნებას, რისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილიცაა ის, რომ ადვოკატის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა არ უნდა დარჩეს რეაგირების გარეშე. მით უფრო, როდესაც ადვოკატი წარმოადგენს კლიენტის ინტერესებს სხვა ადვოკატის სასარჩელო მოთხოვნის საფუძველზე წარმოებულ დავაში, ეს არ ჩაითვლება კოლეგიალობის პრინციპის დარღვევად. რასაკვირველია, ადვოკატი წარმომადგენლობას უნდა ახორციელებდეს ურთიერთპატივისცემისა და კოლეგიალობის პრინციპის დაცვით.

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი სთხოვს ადვოკატს განახორციელოს ისეთი ქმედება, რომლის შესრულების ვალდებულება ადვოკატს იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებით ნაკისრი არ აქვს, ეს შესაძლოა განიხილოს კლიენტის მხრიდან განხორციელებულ ახალ ოფერტად, რომელზე თანხმობის ან უარის თქმის უფლებაც აქვს ადვოკატს. ადვოკატის მიერ გაწეულ კონსულტაციას, ეთიკის კომისია ვერ შეაფასებს ადვოკატის მიერ განხორციელებული სამართლებრივი დახმარებისა და მიცემული სამართლებრივი რჩევის ხარისხს.

თუ ადვოკატი წარმოადგენს კლიენტის ინტერესებს სხვა ადვოკატის სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით წარმოებულ საქმეში და კლიენტის წინაშე ნაკისრ სახელშეკრულებო ვალდებულებას განახორციელებს კოლეგიალობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპის დაცვის საფუძველზე, ეს, სავარაუდოდ, არ ჩაითვლება მის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევად.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში, როგორც ერთ-ერთ წყარო.